N 2862 2015 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფუძნების შესახებ

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, დაფუძნებულ იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი (შემდგომში – ფონდი).

2. ფონდის გამგეობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ტარიელ ხეჩიკაშვილი – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, გამგეობის თავმჯდომარე;

აკაკი ლოდია – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე;

ილია დარჩიაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, გამგეობის წევრი;

გიორგი კაკაურიძე – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გამგეობის წევრი;

გიორგი ამაშუკელი – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, გამგეობის წევრი;

ლევან კობიაშვილი – ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გამგეობის წევრი.

3. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის ფონდის წესდების პროექტისა და ხელმძღვანელის კანდიდატურის წარდგენა.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს ფონდის დაფუძნებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება.

5. ფონდის დაფუძნების შემდგომ დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება განახორციელოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**